პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ აგვისტო, 2020 წელი **ქალაქი ბათუმი**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შემდგომი განკარგვის მიზნით უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, დასახლება ხელვაჩაურში მდებარე 93,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 05.35.26.398) და ქ. ბათუმში, დასახლება ხელვაჩაურში მდებარე 100,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 05.35.26.400)

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. #30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2020 წლის 30 ივლისის #1379/02 (#13239/25) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ განხორციელდა ქალაქ ბათუმის სამრეწველო ზონის ტერიტორიის დაგეგმარება, სხვადასხვა საწარმოების ამოქმედების, სამრეწველო ზონის განვითარების ხელშეწყობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს ეთხოვა მოსაზრების წარმოდგენა ე.წ. სამრეწველო ზონის საპროექტო არეალში უკვე არსებული ანძების მდინარის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზემონაცვლეობასთან დაკავშირებით. ასევე ეთხოვა ინფორმაციის მოწოდება სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს მიერ მახოს ხიდიდან ე.წ. სამრეწველო ზონამდე არსებულ მონაკვეთში დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების შესახებ, ტერიტორიების UTM კოორდინატების მითითებით.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს მიერ 2019 წლის მაისში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარედგინა ქალაქ ბათუმში, ახალი სამრეწველო ზონის პროექტის არეალში ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ანძების განთავსებისათვის შერჩეული მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზები. შერჩეულიმიწის ნაკვეთებიდან 2 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - 100,0 კვ.მ. ს/კ 05.35.26.400 და 93,0 კვ.მ. ს/კ 05.35.26.398 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2020 წლის 09 იანვრისN01-01-10/47 კორესპოდენციის გათვალისწინებით სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს 2020 წლის 16 ივლისის N1/1-2393 ბრძანებით გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს.

ახალი სამრეწველო ზონის განვითარების ხელშეწყობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს ქალქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 ერთეული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში მათი სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-სათვის საკუთრებაში გადასაცემად, ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ანძების მშენებლობის მიზნით და ითხოვს მითითებული მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემას.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ახალი სამრეწველო ზონის განვითარებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის საქმეში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-სათვის ხელშეწყობა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით კოპინაძე